აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

კახა ჩუბინიძე

საკოორდინატო ღერძების მობრუნება და ინტეგრალთა დიფერენცირება ძვრის მიმართ ინვარიანტული ბაზისების მიხედვით

მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის
ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ქუთაისი
2016

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში.

სამეცნიერო
ხელმძღვანელი: **გიორგი ონიანი**
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

რეცენზენტები: 1. **ვალენტინ სკვორცოვი**
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

2. **დუგლას უგულავა**
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ სადისერტაციო კომისიის სხდომაზე 2016 წლის 27 თებერვალს 13 საათზე.

მისამართი: 4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N59, პირველი კორპუსი, აუდიტორია N1114.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. N59).

ავტორეფერატი დაიგზავნა 01.02.2016.

სადისერტაციო საბჭოს
მდივანი ზ. სოხაძე

თემის აქტუალობა. ფუნქციის ანალიზურ თვისებებზე ცვლადის გარდაქმნის ზეგავლენის შესწავლა ჰარმონიული ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ მიმართულებით კვლევის საგანი იყო შემდეგი ორი ძირითადი საკითხი: 1) შესაძლებელია თუ არა ფუნქციის ამათუიმ ანალიზური თვისების მიღწევა მოცემული ტიპის ცვლადის გარდაქმნის მეშვეობით? 2) როგორი ცვლადის გარდაქმნების მიმართ ინარჩუნებს ფუნქცია ამათუიმ ანალიზურ თვისებას?

აღნიშნულ ამოცანებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, როცა ფუნქციის ანალიზური თვისების როლში აიღება ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის თანაბარი ან აბსოლუტური კრებადობა, ხოლო ცვლადის გარდაქმნებად განიხილება ტორის ჰომეომორფიზმები, მიღებულია ჰ. ბორის, ა. ბერლინგისა და ჰ. ჰელსონის, ა. ოლევსკის, ჟ.-პ. კაჰანისა და ი. კაცნელსონის, ა. სააკიანის, უ. ჯურკასა და დ. უოტერმანის, ა. ბაერშტაინისა და დ. უოტერმანის მნიშვნელოვანი შედეგები. ფუნქციის დიფერენციალური თვისებების მიღწევადობა და შენარჩუნება ჰომეომორფიზმის მოქმედებისას შეისწავლებოდა ე. ბრუკნერისა და კ. ჰოფმანის, მ. ლაშკოვიჩისა და დ. პრაისის შრომებში. ზემოაღნიშნული შედეგები გადმოცემულია ა.ოლევსკის [11] მიმოხილვით ნაშრომში და კ. ჰოფმანის, ტ. ნიშიურასა და დ. უოტერმანის [4] მონოგრაფიაში.

მრავალი ცვლადის ჯამებადი ფუნქციის თვისებებზე საკოორდინატო ღერძების შერჩევის (ანუ ცვლადის იმ გარდაქმნის, რომელიც მდგომარეობს მობრუნებაში) ზეგავლენის კვლევა ინიცირებული იყო ა. ზიგმუნდის მიერ, კერძოდ, მის მიერ დასმული პრობლემით მობრუნების მეშვეობით ძლიერად დიფერენცირებადობის მიღწევადობის შესახებ. მობრუნების შემთხვევაში ძლიერი ინტეგრალური საშუალოების კრებადობის, ფურიეს ჯერადი მწკრივისა და ინტეგრალის პრინსჰაიმის აზრით კრებადობისა და სხვადასხვა აზრით სასრული ვარიაციის კლასისადმი მიკუთვნების თვისებების მიღწევადობისა და შენარჩუნების ამოცანები შეისწავლებოდა ჯ. მარსტრანდის, ბ. ლოპეს-მელეროს, ა. სტოკოლოსის, გ.გ. ონიანის, გ. ლეფსვერიძის, გ. კარაგულიანის, მ. დიაჩენკოსა და ო. დრაგოშანსკის შრომებში.

დისერტაციის მიზანი. მობრუნების (ე.ი. საკოორდინატო ღერძების შერჩევის) მეშვეობით ინტეგრალის დიფერენცირებადობის მიღწევადობის შესახებ ზიგმუნდის ამოცანის შესწავლა ბაზისთა ზოგადი კლასებისათვის; მობრუნებისას ინტეგრალის დიფერენცირებადობის თვისების შენარჩუნების საკითხის გამოკვლევა მრავალ-განზომილებიანი ინტერვალებისაგან შედგენილი ძვრის მიმართ ინვარიანტული ბაზისებისათვის; იმ განსაკუთრებულობების შესწავლა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ფიქსირებულ ფუნქციას საკოორდინატო ღერძების სხვადახვა შერჩევისას, მოცემული ბაზისის მიმართ ინტეგრალის დიფერენცირებადობის თვალსაზრისით; ლებეგ-სტილტიესის სინგულარული ზომების დიფერენციალური თვისებების შესწავლა.

მეცნიერული სიახლე.

1) ჰომოთეტიის მიმართ ინვარიანტული ბუზემან-ფელერის ბაზისების კლასისათვის მოცემულია ა. ზიგმუნდის ამოცანის გადაწყვეტა, კერძოდ, დადგენილია, რომ თუ აღნიშნული ტიპის ბაზისი არასტანდარტულია იმ გაგებით, რომ არ ადიფერენცირებს რაიმე ჯამებადი ფუნქციის ინტეგრალს, მაშინ მოიძებნება ფუნქცია, რომლის ინტეგრალის დიფერენცირებადობა მიუღწეველია მობრუნებების მეშვეობით;
2) მრავალგანზომილებიანი ინტერვალებისაგან შედგენილი ძვრის მიმართ ინვარიანტული ნებისმიერი არასტანდარტული ბაზისისათვის დადგენილია, რომ მობრუნებისას ინტეგრალის დიფერენცირებადობის თვისება საზოგადოდ არ ნარჩუნდება;
3) შემოღებულია სინგულარულ მობრუნებათა სიმრავლეები. ეს სიმრავლეები ასახავენ იმ განსაკუთრებულობებს, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს ფიქსირებულ ფუნქციას საკოორდინატო ღერძების სხვადახვა შერჩევისას, მოცემული ბაზისის მიმართ ინტეგრალის დიფერენცირებადობის თვალსაზრისით. დადგენილია სინგულარულ მობრუნებათა სიმრავლეების ტოპოლოგიური სტრუქტურა.

4) ორგანზომილებიანი ინტერვალებისაგან შედგენილი ძვრის მიმართ ინვარიანტული ნებისმიერი არასტანდარტული სიმეტრიული ბაზისისათვის დახასიათებულია არაუმეტეს თვლადი სინგულარულ მობრუნებათა სიმრავლეები;
5) ორგანზომილებიანი ინტერვალებისაგან შედგენილი ჰომოთეტიის მიმართ ინვარიანტული და ბუზემან-ფელერის ნებისმიერი არასტანდარტული სიმეტრიული ბაზისისათვის მოცემულია სინგულარულ მობრუნებათა სიმრავლეების სრული დახასიათება;
6) დადგენილია, რომ სინგულარულ ლებეგ-სტილტიესის ზომებს არა აქვთ საშუალოების თითქმის ყველგან ნულისაკენ კრებადობის თვისება არც ერთი ძვრის მიმართ ინვარიანტული არასტანდარტული ბაზისისათვის.

ნაშრომის აპრობაცია. დისერტაციის შედეგები მოხსენებული იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარზე (ხელმძღვანელი - პროფ. გ.გ. ონიანი), საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის V საერთაშორისო კონფერენციაზე (ბათუმი, 2014, 8-12 სექტემბერი), საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენციაზე (ბათუმი, 2015, 12-16 ივლისი), ქართულ-შვედურ კონფერენციაზე - "ანალიზი და დინამიკური სიტემები" (თბილისი, 2015, 15-22 ივლისი), აკადემიკოს ს.მ. ნიკოლსკის 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე - "ფუნქციური სივრცეები და ფუნქციათა მიახლოების თეორია " (მოსკოვი, რუსეთი, 2015, 25-29 მაისი) და პროფ. ვ.ა. სკვორცოვის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე - "ჰარმონიული ანალიზი და ინტეგრალის თეორია " (მოსკოვი, რუსეთი, 2015, 23-24 სექტემბერი).

პუბლიკაცია. დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია ექვსი ნაშრომი, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ავტორეფერატის ბოლოს.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. დისერტაციის მოცულობა 80 გვერდია. დისერტაცია შედგება შესავლის, ექვსი პარაგრაფისა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისაგან. ბიბლიოგრაფია წარმოდგენილია 32 დასახელებით.

დისერტაციის შინაარსი

შემოვიღოთ ზოგიერთი განსაზღვრება და გავიხსენოთ ზოგიერთი შედეგი ინტეგრალთა დიფერენცირების თეორიიდან.

$\mathbb{R}^n$ სივრცეზე განსაზღვრულ B ასახვას ეწოდება დიფერენცირების ბაზისი, თუ ყოველი $x \in \mathbb{R}^n$-სთვის $B(x)$ არის x-ის შემცველი შემოსაზღვრული, ზომადი და დადებითი ზომის მქონე სიმრავლეთა ოჯახი ისეთი, რომ მოიძებნება $R_k \in B(x)$ $(k \in \mathbb{N})$ მიმდევრობა თვისებით: $\lim\limits_{k\to\infty} \operatorname{diam} R_k = 0$.

$f \in L(\mathbb{R}^n)$ ფუნქციისთვის

$$\overline{D}_B\left(\textstyle\int f, x\right) = \varlimsup_{\substack{R\in B(x)\\ \operatorname{diam} R\to 0}} \frac{1}{|R|}\int_R f \quad \text{და} \quad \underline{D}_B\left(\textstyle\int f, x\right) = \varliminf_{\substack{R\in B(x)\\ \operatorname{diam} R\to 0}} \frac{1}{|R|}\int_R f$$

რიცხვებს ეწოდებათ f ფუნქციის ინტეგრალის ზედა და ქვედა წარმოებული x წერტილში. თუ ზედა და ქვედა წარმოებულები ერთმანეთის ტოლია, მაშინ მათ საერთო მნიშვნელობას ეწოდება f-ის ინტეგრალის წარმოებული x წერტილში და აღინიშნება $D_B(\int f, x)$-ით. ვიტყვით, რომ B ბაზისი ადიფერენცირებს $\int f$-ს, თუ $\overline{D}_B(\int f, x) = \underline{D}_B(\int f, x) = f(x)$ თ.ყ. $x \in \mathbb{R}^n$-სთვის. თუ ეს უკანასკნელი სიმართლეა X კლასის ყოველი f ფუნქციისთვის, მაშინ ვიტყვით, რომ B ადიფერენცირებს X კლასს.

განვსაზღვროთ $\mathrm{Q} = \mathrm{Q}(\mathbb{R}^n), \mathrm{I} = \mathrm{I}(\mathbb{R}^n)$ და $\mathrm{P} = \mathrm{P}(\mathbb{R}^n)$ ბაზისები, რომელთათვისაც:

- $\mathrm{Q}(x)$ $(x \in \mathbb{R}^n)$ შედგება x-ის შემცველი ყველა n-განზომილებიანი ღია კუბური ინტერვალისაგან;
- $\mathrm{I}(x)$ $(x \in \mathbb{R}^n)$ შედგება x-ის შემცველი ყველა n-განზომილებიანი ღია ინტერვალისაგან;
- $\mathrm{P}(x)$ $(x \in \mathbb{R}^n)$ შედგება x-ის შემცველი ყველა n-განზომილებიანი ღია მართკუთხედისაგან.

შევნიშნოთ, რომ Q და I ბაზისების მიმართ დიფერენცირებას, შესაბამისად, ეწოდება ჩვეულებრივი და ძლიერი დიფერენცირება.

Q, I და P ბაზისების შესახებ ცნობილია შემდეგი ფუნდამენტური შედეგები (იხ. [5]):

კუბების ბაზისი Q ადიფერენცირებს $L(\mathbb{R}^n)$ კლასს (ა. ლებეგი, 1910);

ინტერვალების ბაზისი I ადიფერენცირებს $L(1+\ln^+ L)^{n-1}(\mathbb{R}^n)$ კლასს (ბ. იესენი, ი. მარცინკევიჩი, ა. ზიგმუნდი, 1935);

ინტერვალების ბაზისი I არ ადიფერენცირებს $L(\mathbb{R}^n)$ კლასს, უფრო მეტიც, I არ ადიფერენცირებს $L(1+\ln^+ L)^{n-1}(\mathbb{R}^n)$-ზე უფრო ფართო არც ერთ ინტეგრალურ კლასს (ს. საქსი, 1935);

მართკუთხედების ბაზისი P არ ადიფერენცირებს $L^\infty(\mathbb{R}^n)\cap L(\mathbb{R}^n)$ კლასსაც კი (ა. ზიგმუნდი, 1927).

B ბაზისისთვის $\overline{B}$-ით აღვნიშნოთ $B(x)$ $(x\in\mathbb{R}^n)$ ოჯახების გაერთიანება.

B ბაზისს ეწოდება:

ძვრის მიმართ ინვარიანტული (მოკლედ, TI-ბაზისი), თუ $B(x)=\{x+R : R\in B(0)\}$ ყოველი $x\in\mathbb{R}^n$-სთვის;

ჰომოთეტიის მიმართ ინვარიანტული (მოკლედ, HI-ბაზისი), თუ ყოველი $x\in\mathbb{R}^n$, $R\in B(x)$ და H ჰომოთეტიისათვის ცენტრით x-ში გვაქვს: $H(R)\in B(x)$;

შედგენილი Δ კლასის სიმრავლეებისგან, თუ $\overline{B}\subset\Delta$;

ამოზნექილი, თუ ის შედგენილია ამოზნექილი სიმრავლეებისაგან;

ბუზემან-ფელერის, თუ ის შედგენილია ღია სიმრავლეებისაგან და სრულდება შემდეგი პირობა: $(x\in\mathbb{R}^n,\ R\in B(x),\ y\in R)\Rightarrow R\in B(y)$.

შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები:

$\mathfrak{B}_{\mathrm{TI}}$ - ყველა ძვრის მიმართ ინვარიანტული ბაზისის კლასი;

$\mathfrak{B}_{\mathrm{HI}}$ - ყველა ჰომოთეტიის მიმართ ინვარიანტული ბაზისის კლასი;

$\mathfrak{B}_{\mathrm{BF}}$ - ყველა ბუზემან-ფელერის ბაზისის კლასი;

$\mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$ - კლასი ყველა იმ ბაზისისა, რომელიც არ ადიფერენცირებს $L(\mathbb{R}^n)$-ს.

შევნიშნოთ, რომ თუ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{BF}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{HI}}$, მაშინ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{TI}}$ (იხ., მაგ., [12, Ch. I, §3]).

B ბაზისს ეწოდება B' ბაზისის ქვებაზისი (აღნიშვნა: $B \subset B'$), თუ $B(x) \subset B'(x)$ ყოველი $x \in \mathbb{R}^n$-სთვის. B ბაზისისთვის $\mathfrak{B}_B$-თი აღვნიშნოთ B-ს ყველა ქვებაზისის კლასი.

B ბაზისის შესაბამისი მაქსიმალური ოპერატორი M_B და წაკვეთილი მაქსიმალური ოპერატორი M_B^δ $(\delta > 0)$ განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$M_B(f)(x) = \sup_{R \in B(x)} \frac{1}{|R|} \int_R |f|,$$

$$M_B^\delta(f)(x) = \sup_{R \in B(x), \operatorname{diam} R < \delta} \frac{1}{|R|} \int_R |f|,$$

სადაც $f \in L_{\mathrm{loc}}(\mathbb{R}^n)$ და $x \in \mathbb{R}^n$.

შევნიშნოთ, რომ თუ B არის ძვრის მიმართ ინვარიანტული ან ბუზემან-ფელერის ბაზისი, მაშინ ნებისმიერი f ფუნქციისთვის $\overline{D}_B\left(\int f, \cdot\right)$, $\underline{D}_B\left(\int f, \cdot\right)$, $M_B(f)$ და $M_B^\delta(f)$ ფუნქციები არიან ზომადები (იხ., მაგ., [5] ან [12]).

ქვემოთ ყველგან მიჩნეულია, რომ $\mathbb{R}^n$ სივრცის განზომილება მეტია ერთზე.

B ბაზისისთვის F_B-თი აღვნიშნოთ ყველა $f \in L(\mathbb{R}^n)$ ფუნქციის კლასი, რომლის ინტეგრალი დიფერენცირებადია B ბაზისის მიმართ.

Γ_n-თი აღვნიშნოთ $\mathbb{R}^n$-ში ყველა მობრუნების ოჯახი.

ვიტყვით, რომ f ფუნქცია მიიყვანება F კლასში ცვლადის γ გარდაქმნით, თუ $f \circ \gamma \in F$.

დისერტაცია შედგება ექვსი პარაგრაფისგან.

პირველ პარაგრაფში შესწავლილია ა. ზიგმუნდის ამოცანა საკოორდინატო ღერძების შერჩევის მეშვეობით (ე.ი. ცვლადის გარდაქმნით, რომელიც წარმოადგენს მობრუნებას) ფუნქციის თვისებების გაუმჯობესების შესაძლებლობის შესახებ.

ცვლადის გარდაქმნის მეშვეობით ფუნქციის თვისებების გაუმჯობესების შესაძლებლობის შესახებ საკითხს აქვს საკმარისად მდიდარი ისტორია. ჰომეომორფიზმის მოქმედებისას ფურიეს

ტრიგონომეტრიული მწკრივის ყოფაქცევის გაუმჯობესების შესაძლებლობის შესახებ ცნობილია ჰ. ბორის, ა. ოლევსკის, ჟ.-პ. კაჰანისა და ი. კაცნელსონის, ა. სააკიანის მნიშვნელობანი შედეგები (იხ., მაგ., [11], [4], [18]).

ინტეგრალის დიფერენცირების თეორიაში ზემოთ აღნიშნული საკითხის შესწავლა დაწყებული იყო ა. ზიგმუნდის შემდეგი ამოცანით (იხ. [5, Ch. IV, §2]): შესაძლებელია თუ არა ნებისმიერი $f \in L(\mathbb{R}^2)$ ფუნქცია მიყვანილი იქნას F_{I} კლასში საკოორდინატო ღერძების მობრუნების მეშვეობით?

მარსტრანდმა [10] გასცა უარყოფითი პასუხი ამ კითხვას, ააგორა არაუარყოფითი $f \in L(\mathbb{R}^2)$ ფუნქცია ისეთი, რომ $f \circ \gamma \notin F_{\mathrm{I}}$ ნებისმიერი $\gamma \in \Gamma_2$ მობრუნებისთვის.

ა. ზიგმუნდის ამოცანა ზოგადი დასმით ფორმულირდება შემდეგნაირად: ვთქვათ, B არის ძვრის მიმართ ინვარიანტული ბაზისი, რომელიც არ ადიფერენცირებს $L(\mathbb{R}^n)$ კლასს. არსებობს თუ არა $f \in L(\mathbb{R}^n)$ ფუნქცია, რომელიც შეუძლებელია მიყვანილ იქნას F_B კლასში საკოორდინატო ღერძების მობრუნების მეშვეობით? ამ მიმართულებით ცნობილი შედეგების ჩამოყალიბებისათვის შემოვიღოთ ზოგიერთი განსაზღვრება.

ძვრის მიმართ ინვარიანტული B ბაზისისთვის გ.გ. ონიანის მიერ (იხ. [12, Ch. II, §1] ან [13]) შემოღებული იყო შემდეგი ფუნქცია:

$$\sigma_B(\lambda) = \lim_{t\to\infty} \overline{\lim_{\varepsilon\to 0}} \frac{|\{M_B^{t\varepsilon}(\chi_{V_\varepsilon}) > \lambda\}|}{|V_\varepsilon|} \quad (0 < \lambda < 1),$$

სადაც V_ε არის კოორდინატთა სათავეში ცენტრის მქონე ε რადიუსიანი ბირთვი. აქ და ქვემოთ ყველგან χ_E აღნიშნავს E სიმრავლის მახასიათებელ ფუნქციას. σ_B-ს ვუწოდოთ B ბაზისის სფერული მოარშიების ფუნქცია.

ადვილი შესამოწმებელია, რომ:

1) თუ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{TI}}$ არის ამოზნექილი ბაზისი, მაშინ $M_B(\chi_{V_\varepsilon})(x) \le C\varepsilon/\operatorname{dist}(x, V_\varepsilon)$ $(x \notin V_{2\varepsilon})$ შეფასების (იხ. [13, ლემა 1]) მეშვეობით გვაქვს:

$$\sigma_B(\lambda) = \overline{\lim_{\varepsilon\to 0}} \frac{|\{M_B(\chi_{V_\varepsilon}) > \lambda\}|}{|V_\varepsilon|};$$

2) თუ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{HI}}$, მაშინ

$$\sigma_B(\lambda) = |\{M_B(\chi_V) > \lambda\}|,$$

სადაც V არის ერთეულოვანი ბირთვი (ე.ი. კოორდინატთა სათავეში ცენტრის ბირთვი 1-ის ტოლი რადიუსით).

ძვრის მიმართ ინვარიანტული B ბაზისისთვის ბ. ლოპეს-მელერომ [9] შემოიღო სფერული მოარშიების ფუნქციის შემდეგი სუსტი ვარიანტი:

$$\widetilde{\sigma}_B(\lambda) = \overline{\lim_{\varepsilon \to 0}} \frac{|\{M_B^{\varepsilon/\lambda}(\chi_{V_\varepsilon}) > \lambda\}|}{|V_\varepsilon|} \quad (0 < \lambda < 1).$$

აშკარაა, რომ

$$\widetilde{\sigma}_B(\lambda) \le \sigma_B(\lambda) \ \ (0 < \lambda < 1).$$

ვიტყვით, რომ $\sigma : (0,1) \to (0,\infty)$ ფუნქცია არის არარეგულარული, თუ

$$\overline{\lim_{\lambda \to 0}} \, \lambda \sigma(\lambda) = \infty.$$

$n \ge 2$-სთვის I_k^n-თი $(2 \le k \le n)$ აღვნიშნოთ ბაზისი, რომლისთვისაც $\mathrm{I}_k^n(x)$ $(x \in \mathbb{R}^n)$ შედგება x-ის შემცველი ყველა ღია n-განზომილებიანი ინტერვალისგან, რომელთა გვერდების სიგრძეები ღებულობენ არაუმეტეს k სხვადასხვა მნიშვნელობას. შევნიშნოთ, რომ $\mathrm{I}_n^n = \mathrm{I}$.

B ბაზისისთვის S_B-თი აღვნიშნოთ ყველა არაუარყოფითი $f \in L(\mathbb{R}^n)$ ფუნქციის კლასი, რომელთათვისაც $\overline{D}_B\left(\int f \circ \gamma, x\right) = \infty$ თითქმის ყველგან ყოველი $\gamma \in \Gamma_n$-სთვის.

ა. სტოკოლოსის [19], ბ. ლოპეს-მელეროს [9] და გ.გ. ონიანის [12, Ch. II, §1] (იხ. ასევე [13]) მიერ, შესაბამისად, დადგენილი იყო შემდეგი დებულებები.

თეორემა A. ყოველი $n \ge 2$ და $2 \le k \le n$-სთვის $S_{\mathrm{I}_k^n}$ კლასი არაცარიელია.

თეორემა B. თუ ძვრის მიმართ ინვარიანტულ B ბაზისს აქვს არარეგულარული სუსტი სფერული მოარშიების ფუნქცია $\widetilde{\sigma}_B$, მაშინ S_B კლასი არაცარიელია.

თეორემა C. თუ ძვრის მიმართ ინვარიანტულ B ბაზისს აქვს არარეგულარული სფერული მოარშიების ფუნქცია σ_B, მაშინ S_B კლასი არაცარიელია.

შევნიშნოთ, რომ $\widetilde{\sigma}_B(\lambda) \leq \sigma_B(\lambda)$ და $\widetilde{\sigma}_{\mathrm{I}_k^n}(\lambda) \geq c\frac{1}{\lambda}\ln^{k-1}\frac{1}{\lambda}$ შეფასებებიდან გამომდინარეობს შემდეგი იმპლიკაციები: თეორემა C $\Rightarrow$ თეორემა B $\Rightarrow$ თეორემა A.

შემდეგი თეორემა იძლევა პასუხს ზიგმუნდის განზოგადებულ ამოცანაზე $\mathfrak{B}_{\mathrm{BF}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{HI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$ ბაზისთა კლასისათვის.

თეორემა 1.1. თუ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{BF}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{HI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$, მაშინ S_B კლასი არაცარიელია.

თეორემა 1.1 მტკიცდება თეორემა C-ს გამოყენებით შემდეგი ლემის საფუძველზე.

ლემა 1.4. თუ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{BF}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{HI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$, მაშინ B ბაზისს აქვს არარეგულარული სფერული მოარშიების ფუნქცია.

მეორე პარაგრაფში შესწავლილია დიფერენცირებადი ინტეგრალის მქონე ფუნქციათა კლასების ინვარიანტულობის საკითხი მობრუნებების მიმართ.

კარგი ანალიზური თვისების მქონე ფუნქციათა კლასი შეიძლება ძალიან მგრძნობიარე იყოს ცვლადის გარდაქმნის მიმართ. გავიხსენოთ ამ ტიპის შედეგი, რომელიც ეკუთვნის ა. ბერლინგს და ჰ. ჰელსონს [1]: ვთქვათ $\mathbb{T}$ არის ერთეულოვანი წრეწირი კომპლექსურ სიბრტყეზე და $A(\mathbb{T})$ არის $\mathbb{T}$-ზე განსაზღვრული ყველა უწყვეტი ფუნქციის კლასი, რომელთაც აქვთ აბსოლუტურად კრებადი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივი. $\gamma : \mathbb{T} \to \mathbb{T}$ ჰომეომორფიზმისთვის გვაქვს, რომ $f \in A(\mathbb{T}) \Rightarrow f\circ\gamma \in A(\mathbb{T})$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ γ არის შემდეგი ტიპის: $\gamma(e^{it}) = e^{i(kt+a)}$, სადაც $k \in \{-1, 1\}$ და $a \in [-\pi, \pi]$.

ფუნქციათა F კლასს ეწოდება ინვარიანტული ცვლადის გარდაქმნათა Γ კლასის მიმართ, თუ $(f \in F, \gamma \in \Gamma) \Rightarrow f \circ \gamma \in F$.

ასე, რომ $A(\mathbb{T})$ კლასი ინვარიანტულია მხოლოდ მობრუნებების, შეუღლების და მათი კომპოზიციების მიმართ. კერძოდ, არსებობს დიფეომორფიზმი $\gamma : \mathbb{T} \to \mathbb{T}$, რომლის მიმართ $A(\mathbb{T})$ არაა ინვარიანტული.

მრავალი ცვლადის ფუნქციების თვისებების დამოკიდებულება საკოორდინატო ღერძების შერჩევაზე (ე.ი. სტანდარტული ორთოგონალური საკოორდინატო სისტემის მობრუნებაზე) შეისწავლებოდა სხვადასხვა ავტორების მიერ.

გ. ლეფსვერიძის [8], გ.გ. ონიანის [14] და ა. სტოკოლოსის [20] შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ F_{I} კლასი არაინვარიანტულია ცვლადის წრფივი გარდაქმნების მიმართ, კერძოდ მობრუნებების მიმართ. ანალოგიური შედეგი დადგენილი იყო ო.დრაგოშანსკის მიერ [2] ორი ცვლადის უწყვეტ ფუნქციათა კლასისათვის, რომელთაც აქვთ პრინსჰეიმის აზრით თითქმის ყველგან კრებადი ფურიეს მწკრივი (ფურიეს ინტეგრალი).

ორგანზომილებიან შემთხვევაში გ. კარაგულიანმა [6] დაადგინა I ბაზისის მიხედვით დიფერენცირებადობის თვალსაზრისით იმ განსაკუთრებულობების სრული დახასიათება, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ფიქსირებული ფუნქციის ინტეგრალს საკოორდინატო სისტემის სხვადასხვა არჩევისას. ამ საკითხის მრავალგანზომილებიანი ასპექტი შესწავლილი იყო გ.გ. ონიანის მიერ [15].

მ. დიაჩენკომ [3] განიხილა სხვადასხვა აზრით სასრული ვარიაციის ფუნქციათა ორგანზომილებიანი კლასების Γ_2-ის მიმართ ინვარიანტულობის ამოცანა.

მობრუნების მიმართ F_{I} კლასის არაინვარიანტულობის შედეგი შეიძლება გავრცელდეს საკმაოდ ზოგადი ტიპის ბაზისებზე. კერძოდ, სამართლიანია შემდეგი თეორემა.

თეორემა 2.1. თუ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$, მაშინ F_B კლასი არაა ინვარიანტული მობრუნებების მიმართ, უფრო მეტიც, არსებობს არაუარყოფითი $f \in F_{\mathrm{I}}$ ფუნქცია ისეთი, რომ $f \circ \gamma \notin F_B$ რომელიდაც $\gamma \in \Gamma_n$ მობრუნებისათვის.

შევნიშნოთ, რომ თუ B ადიფერენცირებს $L(\mathbb{R}^n)$-ს, მაშინ მობრუნებების მიმართ F_B კლასის ინვარიანტულობის საკითხი ტრივიალურია. კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მობრუნება ზომის შემნახავი ასახვაა, დავასკვნით F_B-ს მობრუნებების მიმართ ინვარიანტულობას.

მესამე პარაგრაფში შემოღებულია სინგულარული მობრუნე-ბების სიმრავლეები და დადგენილია ზოგიერთი შედეგი მათი სტრუქტურის შესახებ.

ვთქვათ B არის ბაზისი $\mathbb{R}^n$-ში და $\gamma \in \Gamma_n$. B ბაზისის γ-მობრუნება განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$B(\gamma)(x) = \{x + \gamma(R - x) : R \in B(x)\} \quad (x \in \mathbb{R}^n).$$

დავუშვათ B ძვრის მიმართ ინვარიანტულია. მაშინ ადვილი შე-სასმოწმებელია, რომ "მობრუნებული" $f \circ \gamma$ ფუნქციის ინტეგრა-ლის დიფერენცირებადობა B ბაზისის მიხედვით x წერტილში, ეკვივალენტურია f ფუნქციის ინტეგრალის დიფერენცირებადო-ბისა "მობრუნებული" $B(\gamma^{-1})$ ბაზისის მიმართ $\gamma^{-1}(x)$ წერტილში. შედეგად, $f \circ \gamma$ $(\gamma \in \Gamma_n)$ ფუნქციების ყოფაქცევის შესწავლა B ბაზისის მიმართ შეიძლება დავიყვანოთ f ფუნქციის ყოფაქცევის შესწავლაზე $B(\gamma)$ $(\gamma \in \Gamma_n)$ ბაზისების მიმართ.

ვთქვათ B არის ბაზისი $\mathfrak{B}_{\mathrm{I}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$ კლასიდან. თეორემა 2.1-ის ძალით არსებობს ფუნქცია, რომელსაც აქვს არაერთგ-ვაროვანი ყოფაქცევა მობრუნებული $B(\gamma)$ $(\gamma \in \Gamma_n)$ ბაზისების მიმართ, უფრო ზუსტად, $\int f$ არაა დიფერენცირებადი $B(\gamma)$ ბაზი-სის მიმართ ზოგიერთი მობრუნებისათვის და იმავდროულად $\int f$ დიფერენცირებადია $B(\gamma)$ ბაზისის მიმართ ზოგიერთი მობრუნე-ბისათვის. ამგვარად, f ფუნქციისათვის ზოგი γ მობრუნება არის "სინგულარული" (არადიფერენცირებადობა $B(\gamma)$-ს მიმართ) და ზოგი γ მობრუნება არის "რეგულარული" (დიფერენცირებადო-ბა $B(\gamma)$-ს მიმართ). ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად ისმის კითხვა: რა სახის შეიძლება იყოს სინგულარული და რეგულარუ-ლი მობრუნებების სიმრავლეები ფიქსირებული ფუნქციისათვის? შევნიშნოთ, რომ დუალურობის მოსაზრებების გამო შეგვიძლია შემოვიფარგლოთ სინგულარული მობრუნებების სიმრავლეების შესწავლით.

ძლიერად დიფერენცირებადობის პროცესის შემთხვევაში (ე.ი. როცა $B = \mathrm{I}$) დასმული ამოცანა შესწავლილი იყო გ. კარაგუ-ლიანის [6], გ.გ. ონიანის [12, 14, 16], გ. ლეფსვერიძის [8] და ა. სტოკოლოსის [20] მიერ.

აღნიშნულ ამოცანასთან დაკავშირებით შემოვიღოთ სინგულარული მობრუნებების სიმრავლის მკაცრი განსაზღვრება: დავუშვათ B არის ბაზისი $\mathbb{R}^2$-ში და $E \subset \Gamma_2$. E სიმრავლეს ეწოდება W_B-სიმრავლე, თუ არსებობს $f \in L(\mathbb{R}^2)$ ფუნქცია შემდეგი ორი თვისებით:

$$f \notin F_{B(\gamma)} \text{ ყოველი } \gamma \in E\text{-სთვის;}$$

$$f \in F_{B(\gamma)} \text{ ყოველი } \gamma \notin E\text{-სთვის.}$$

შემოვიღოთ ასევე "ძლიერად" სინგულარული მობრუნებების სიმრავლის განსაზღვრება: ვთქვათ B არის ბაზისი $\mathbb{R}^2$-ში და $E \subset \Gamma_2$. E-ს ეწოდება R_B-სიმრავლე, თუ არსებობს $f \in L(\mathbb{R}^2)$ ფუნქცია შემდეგი თვისებებით:

$$\overline{D}_{B(\gamma)}\left(\int f, x\right) = \infty \text{ თ.ყ. ყოველი } \gamma \in E\text{-სთვის;}$$

$$f \in F_{B(\gamma)} \text{ ყოველი } \gamma \notin E\text{-სთვის.}$$

ცხადია, რომ ყოველი R_B-სიმრავლე არის W_B-სიმრავლე.

როდესაც $B = \mathrm{I}$, გამოვიყენებთ ტერმინებს: W და R-სიმრავლე. R-სიმრავლე და W-სიმრავლე შემოღებული იყო, შესაბამისად, [14] და [6] შრომებში.

ახლა საკითხი შეიძლება დავსვათ შემდეგნაირად: მოცემული B ბაზისისთვის რა სახის სიმრავლეები არიან W_B-სიმრავლეები (R_B-სიმრავლეები)?

შემდეგი თეორემები გვაძლევენ ტოპოლოგიური ხასიათის აუცილებელ პირობებს სინგულარული მობრუნებების სიმრავლეებისთვის.

თეორემა 3.1. ნებისმიერი ძვრის მიმართ ინვარიანტული B ბაზისისთვის $\mathbb{R}^2$-ში ყოველი W_B-სიმრავლე არის $G_{\delta\sigma}$ ტიპის.

თეორემა 3.2. ნებისმიერი ძვრის მიმართ ინვარიანტული B ბაზისისთვის $\mathbb{R}^2$-ში ყოველი R_B-სიმრავლე არის G_δ ტიპის.

W და R-სიმრავლეების შემთხვევაში, 3.1 და 3.2 თეორემები დამტკიცებული იყო, შესაბამისად, გ. კარაგულიანის [6] და გ.გ. ონიანის [14] მიერ.

ახლა შემოვიღოთ W_B და R_B-სიმრავლეთა ცნებების შემდეგი განზოგადებები:

ვთქვათ B და H ბაზისებია $\mathbb{R}^n$-ში, $B \subset H$ და $E \subset \Gamma_n$. E-ს ეწოდება $W_{B,H}$-სიმრავლე ($W^+_{B,H}$-სიმრავლე), თუ არსებობს $f \in L(\mathbb{R}^n)$ ფუნქცია ($f \in L(\mathbb{R}^n), f \geq 0$) შემდეგი თვისებებით:

$$f \notin F_{B(\gamma)} \text{ ყოველი } \gamma \in E\text{-სთვის};$$

$$f \in F_{H(\gamma)} \text{ ყოველი } \gamma \notin E\text{-სთვის}.$$

ვთქვათ B და H ბაზისებია $\mathbb{R}^n$-ში, $B \subset H$ და $E \subset \Gamma_n$. E-ს ეწოდება $R_{B,H}$-სიმრავლე ($R^+_{B,H}$-სიმრავლე), თუ არსებობს $f \in L(\mathbb{R}^n)$ ($f \in L(\mathbb{R}^n), f \geq 0$) ფუნქცია თვისებებით:

$$\overline{D}_{B(\gamma)}\left(\int f, x\right) = \infty \text{ თ.ყ. ყოველი } \gamma \in E\text{-სთვის};$$

$$f \in F_{H(\gamma)} \text{ ყოველი } \gamma \notin E\text{-სთვის}.$$

თუ $B = H$, მაშინ $W^+_{B,B}$-სიმრავლის ($R^+_{B,B}$-სიმრავლის) ნაცვლად გამოვიყენებთ ტერმინს W^+_B-სიმრავლე (R^+_B-სიმრავლე).

შენიშვნა 3.1. ცხადია, რომ:

1) თუ $B = H$, მაშინ $W_{B,B}$-სიმრავლის ($R_{B,B}$-სიმრავლის) და W_B-სიმრავლის (R_B-სიმრავლის) ცნებები ერთმანეთს ემთხვევა;

2) ყოველი $W^+_{B,H}(R^+_{B,H})$-სიმრავლე არის $W_{B,H}(R_{B,H})$-სიმრავლე;

3) ყოველი $W_{B,H}(W^+_{B,H}, R_{B,H}, R^+_{B,H})$-სიმრავლე არის W_B (W^+_B, R_B, R^+_B)-სიმრავლე.

შენიშვნა 3.2. შენიშვნა 3.1-ის გათვალისწინებით 3.1 და 3.2 თეორემებიდან გვაქვს: თუ B და H ძვრის მიმართ ინვარიანტული ბაზისებია და $B \subset H$, მაშინ:

1) ყოველი $W_{B,H}$-სიმრავლე არის $G_{\delta,\sigma}$ ტიპის;

2) ყოველი $R_{B,H}$-სიმრავლე არის G_δ ტიპის.

შედეგად, 3.1 შენიშვნის გათვალისწინებით ასევე მივიღებთ: ყოველი $W^+_{B,H}$-სიმრავლე და ყოველი W^+_B-სიმრავლე არის $G_{\delta,\sigma}$ ტიპის; ყოველი $R^+_{B,H}$-სიმრავლე და R^+_B-სიმრავლე არის G_δ ტიპის.

თეორემა 3.3. ვთქვათ B და H ბაზისებია $\mathbb{R}^2$-ში და $B \subset H$. მაშინ $R_{B,H}$-სიმრავლეების ($R^+_{B,H}$-სიმრავლეების) არაუმეტეს თვლადი ოჯახის გაერთიანება არის $W_{B,H}$-სიმრავლე ($W^+_{B,H}$-სიმრავლე).

არაცარიელი $E_1 \subset \Gamma_2$ და $E_2 \subset \Gamma_2$ სიმრავლეებისთვის აღვნიშნოთ: $E_1 E_2 = \{\gamma_1 \circ \gamma_2 : \gamma_1 \in E_1, \gamma_2 \in E\}$. $E \subset \Gamma_2$ სიმრავლეს ვუწოდოთ სიმეტრიული, თუ $E = \Pi E$.

B ბაზისს $\mathbb{R}^2$-ში ეწოდება სიმეტრიული, თუ $B(\gamma) = B$ ყოველი $\gamma \in \Pi$-სთვის. შევნიშნოთ, რომ $\mathrm{I}(\mathbb{R}^2)$ ბაზისი სიმეტრიულია.

შენიშვნა 3.3. ვთქვათ მოცემულია B და H ბაზისები და $B \subset H$. მარტივი დასანახია, რომ თუ B არის სიმეტრიული, მაშინ ყოველი $W_{B,H}$ ($W^+_{B,H}$, $R_{B,H}$, $R^+_{B,H}$)-სიმრავლე სიმეტრიულია.

მეოთხე პარაგრაფში ნაპოვნია სინგულარული მობრუნებების სიმრავლეების ზოგიერთი კლასი. მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს სინგულარული მობრუნებების არაუმეტეს თვლადი სიმრავლეების დახასიათება სიმეტრიული ბაზისებისათვის $\mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$ კლასიდან.

თეორემა 4.1. ვთქვათ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$. მაშინ ყოველი არაუმეტეს თვლადი $E \subset \Gamma_2$ სიმრავლისთვის და მისი მიდამოთა ყოველი (V_k) მიმდევრობისთვის, არსებობს არაუარყოფითი $f \in L(\mathbb{R}^2)$ ფუნქცია ისეთი, რომ:

1) ყოველი $\gamma \in E$-სთვის, $\overline{D}_{B(\gamma)}(\int f, x) = \infty$ თ.ყ.;

2) ყოველი $k \in \mathbb{N}$-სთვის, $f \in F_{\mathrm{I}(\Gamma_2 \setminus \Pi V_k)}$. შედეგად, ყოველი $\gamma \notin \bigcap_{k=1}^{\infty} \Pi V_k$-სთვის გვაქვს: $f \in F_{\mathrm{I}(\gamma)}$;

3) თუ $\gamma \in \Gamma_2$-სთვის $\overline{D}_{B(\gamma)}(\int f, x) = \infty$ სრულდება რაიმე დადებითი ზომის სიმრავლეზე, მაშინ იგივე პირობა სამართლიანია თითქმის ყველგან.

შედეგი 4.1. ვთქვათ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$. მაშინ:

1) ყოველი არაუმეტეს თვლადი სიმეტრიული $E \subset \Gamma_2$ სიმრავლე არის $W^+_{B,\mathrm{I}}$-სიმრავლე;

2) ყოველი არაუმეტეს თვლადი სიმეტრიული G_δ ტიპის სიმრავლე არის $R^+_{B,\mathrm{I}}$-სიმრავლე.

3.1 და 3.2 თეორემების გათვალისწინებით 4.1 შედეგიდან მივიღებთ შემდეგ დებულებას.

შედეგი 4.2. ვთქვათ B სიმეტრიული ბაზისია $\mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$ კლასიდან. მაშინ:

1) არაუმეტეს თვლადი $E \subset \Gamma_2$ სიმრავლე არის $W_{B,\mathrm{I}}$-სიმრავლე ($W^+_{B,\mathrm{I}}$-სიმრავლე) მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა E არის სიმეტრიული;

2) არაუმეტეს თვლადი $E \subset \Gamma_2$ სიმრავლე არის $R_{B,\mathrm{I}}$-სიმრავლე ($R^+_{B,\mathrm{I}}$-სიმრავლე) მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა E არის სიმეტრიული და G_δ ტიპის.

თეორემა 4.1-დან აგრეთვე მიიღება შემდეგი დებულება.

შედეგი 4.3. ვთქვათ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$. მაშინ არსებობს არაუარყოფითი $f \in L(\mathbb{R}^2)$ ფუნქცია, რომლისთვისაც სიმრავლე

$$\{\gamma \in \Gamma_2 : \overline{D}_{B(\gamma)}\left(\int f, x\right) = \infty \ \text{თ.ყ.}\}$$

არის მეორე კატეგორიის და, შედეგად, კონტინუუმის სიმძლავრის.

შედეგი 4.4. ვთქვათ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$. მაშინ არსებობს $W^+_{B,\mathrm{I}}$-სიმრავლე, რომელიც არის მეორე კატეგორიის და შედეგად კონტინუუმის სიმძლავრის.

ვიტყვით, რომ B ბაზისს აქვს სუსტი ბეზიკოვიჩის თვისება, თუ ყოველი არაუარყოფითი $f \in L(\mathbb{R}^n)$ ფუნქციისათვის

$$\{x : f(x) < \overline{D}_B(\textstyle\int f, x) < \infty\}$$

სიმრავლე არის ნული ზომის. შევნიშნოთ, რომ მ. გუსმანის და მ. მენარგესის შედეგის ძალით (იხ. [5, Ch. IV, §3]) ყოველ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{BF}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{HI}}$ ბაზისს აქვს სუსტი ბეზიკოვიჩის თვისება. აქვე შევნიშნოთ, რომ [17]-ში ნაპოვნია ინტერვალებისაგან შედგენილ ბაზისთა უფრო ზოგადი კლასი, რომელსაც აქვთ სუსტი ბეზიკოვიჩის თვისება.

შემდეგი დებულება გამომდინარეობს 4.3 შედეგიდან.

შედეგი 4.5. ვთქვათ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$. თუ დამატებით ცნობილია, რომ B ბაზისს აქვს სუსტი ბეზიკოვიჩის თვისება, მაშინ არსებობს მეორე კატეგორიის და, შედეგად, კონტინუუმის სიმძლავრის $R^+_{B,\mathrm{I}}$-სიმრავლე.

რადგანაც ნებისმიერი $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)}$ ბაზისისთვის $W_{B,\mathrm{I}}$ ($W^+_{B,\mathrm{I}}$, $R_{B,\mathrm{I}}$, $R^+_{B,\mathrm{I}}$)-სიმრავლე არის W_B (W^+_B, R_B, R^+_B)-სიმრავლე, ამიტომ 4.1-4.5 შედეგებიდან გამომდინარეობენ შესაბამისი დებულები W_B (W^+_B, R_B, R^+_B)-სიმრავლეებისთვის, კერძოდ, 4.2 შედეგიდან გამომდინარეობს შემდეგი დებულება.

შედეგი 4.6. ვთქვათ B არის სიმეტრიული ბაზისი $\mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$ კლასიდან. მაშინ:

1) არაუმეტეს თვლადი $E \subset \Gamma_2$ სიმრავლე არის W_B (W^+_B)-სიმრავლე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც E არის სიმეტრიული;

2) არაუმეტეს თვლადი $E \subset \Gamma_2$ სიმრავლე არის R_B (R^+_B)-სიმრავლე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც E არის სიმეტრიული და G_δ ტიპის.

4.1 თეორემა და მისი შედეგები, $B = \mathrm{I}$ შემთხვევაში, დამტკიცებული იყო [14]-ში.

მეხუთე პარაგრაფში მოცემულია W_B და R_B-სიმრავლეების სრული დახასიათება ბაზისთა საკმაოდ ფართო კლასისათვის.

გ. კარაგულიანმა [6] დაადგინა W და R-სიმრავლეების სრული დახასიათება, სახელდობრ, [6]-ში დამტკიცებულია, რომ:

1) $E \subset \Gamma_2$ სიმრავლე არის W-სიმრავლე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა E არის სიმეტრიული და $G_{\delta\sigma}$ ტიპის.

2) $E \subset \Gamma_2$ სიმრავლე არის R-სიმრავლე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა E არის სიმეტრიული და G_δ ტიპის.

[6]-ში შემოთავაზებული დამტკიცების სქემის განვითარების მეშვეობით, ჩვენ დავადგინეთ W_B და R_B-სიმრავლეების დახასიათება ბაზისთა ფართო კლასისთვის. კერძოდ, სამართლიანია შემდეგი თეორემა.

თეორემა 5.1. თუ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{BF}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$ ბაზისს აქვს არარეგულარული სფერული მოარშიების ფუნქცია, კერძოდ, თუ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{BF}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{HI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$ (იხ. ლემა 1.4), მაშინ:

1) ყოველი სიმეტრიული $G_{\delta\sigma}$ ტიპის $E \subset \Gamma_2$ სიმრავლე არის $W_{B,\mathrm{I}}$-სიმრავლე;

2) ყოველი სიმეტრიული G_δ ტიპის $E \subset \Gamma_2$ სიმრავლე არის $R_{B,\mathrm{I}}$-სიმრავლე.

თეორემა 5.1-ის პირველი წინადადება მიიღება მეორედან თეორემა 3.3-ის საფუძველზე.

3.1 და 3.2 თეორემების გათვალისწინებით თეორემა 5.1-დან მიიღება შემდეგი დებულება.

შედეგი 5.1. თუ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{BF}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$ სიმეტრიულ ბაზისს აქვს არარეგულარული სფერული მოარშიების ფუნქცია, კერძოდ, თუ B არის სიმეტრიული და $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{BF}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{HI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$, მაშინ:

1) $E \subset \Gamma_2$ არის $W_{B,\mathrm{I}}$-სიმრავლე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც E არის სიმეტრიული და $G_{\delta\sigma}$ ტიპის;

2) $E \subset \Gamma_2$ არის $R_{B,\mathrm{I}}$-სიმრავლე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც E არის სიმეტრიული და G_δ ტიპის.

შედეგი 5.2. თუ $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{BF}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{TI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$ სიმეტრიულ ბაზისს აქვს არარეგულარული სფერული მოარშიების ფუნქცია, კერძოდ, თუ B არის სიმეტრიული და $B \in \mathfrak{B}_{\mathrm{I}(\mathbb{R}^2)} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{BF}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{HI}} \cap \mathfrak{B}_{\mathrm{NL}}$, მაშინ:

1) $E \subset \Gamma_2$ არის W_B-სიმრავლე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც E არის სიმეტრიული და $G_{\delta\sigma}$ ტიპის;

2) $E \subset \Gamma_2$ არის R_B-სიმრავლე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც E არის სიმეტრიული და G_δ ტიპის.

თეორემა 5.1-ის დამტკიცებაში აგებული ფუნქცია დებულობს როგორც დადებით, ასევე უარყოფით მნიშვნელობებს. ამიტომ თეორემა 5.1-ის დამტკიცების მეთოდი არ გვაძლევს საშუალებას დავახასიათოთ W_B^+ და R_B^+-სიმრავლეები. შევნიშნავთ, რომ W_B^+ და R_B^+ სიმრავლეების დახასიათების ამოცანა ღიაა $B = \mathrm{I}$ შემთხვევაშიც კი.

მეექვსე პარაგრაფში აგებულია სინგულარული ლებეგ-სტილტიესის ზომები, რომლებსაც აქვთ თითქმის ყველგან "არაკრობადი" საშუალოები.

ლებეგ-სტილტიესის μ ზომის და B ბაზისისთვის

$$\overline{D}_B(\mu,x) = \varlimsup_{R\in B(x),\,\mathrm{diam}\,R\to 0} \frac{\mu(R)}{|R|}, \quad \underline{D}_B(\mu,x) = \varliminf_{R\in B(x),\,\mathrm{diam}\,R\to 0} \frac{\mu(R)}{|R|}$$

რიცხვებს ეწოდება μ ზომის ზედა და ქვედა წარმოებული B ბაზისის მიმართ x წერტილში. თუ ზედა და ქვედა წარმოებულები ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ მათ საერთო მნიშვნელობას ეწოდება

μ ზომის წარმოებული B ბაზისის მიმართ x წერტილში და აღინიშნება შემდეგნაირად $D_B(\mu, x)$.

ვიტყვით, რომ B ბაზისი ადიფერენცირებს μ ლებეგ-სტილტიესის ზომას, თუ $D_B(\mu, x)$ არსებობს თითქმის ყოველი $x \in \mathbb{R}^n$-სთვის;

ლებეგ-სტილტიესის μ ზომას ეწოდება:

- სინგულარული, თუ არსებობს ბორელის E სიმრავლე ისეთი, რომ $|E| = 0$ და $\mu(A) = \mu(A \cap E)$ ყოველი ბორელის A სიმრავლისთვის;
- დისკრეტული, თუ მას აქვს სახე: $\mu = \sum_{k \in \mathbb{N}} m_k \delta_{a_k}$, სადაც $m_k \geq 0$ და δ_{a_k} არის დირაკის ზომა, რომლის საყრდენი არის a_k წერტილი.

ცხადია, რომ ყოველი დისკრეტული ლებეგ-სტილტიესის ზომა არის სინგულარული.

ცნობილია, რომ (იხ., მაგ., [21, Ch. V, §7]) თუ μ არის სინგულარული ლებეგ-სტილტიესის ზომა, მაშინ

$$D_{\mathrm{Q}}(\mu, x) = 0 \text{ თითქმის ყველგან.}$$

სინგულარული ლებეგ-სტილტიესის ზომები კარგავენ "ქრობადობის" თვისებას, თუ Q შეცვლილია ნებისმიერი ძვრის მიმართ ინვრიანტული ბაზისით, რომელიც არ ადიფერენცირებს $L(\mathbb{R}^n)$კლასს. უფრო მეტიც, სამართლიანია შემდეგი თეორემა.

თეორემა 6.1. ნებისმიერი ძვრის მიმართ ინვარიანტული B ბაზისისთვის, რომელიც არ ადიფერენცირებს $L(\mathbb{R}^n)$-ს, არსებობს დისკრეტული სასრული ლებეგ-სტილტიესის ზომა μ, ისეთი, რომ

$$\overline{D}_B(\mu, x) = \infty \text{ თითქმის ყველგან.}$$

$B = \mathrm{I}$ შემთხვევაში, თეორემა 6.1 გამომდინარეობს გ. კარაგულიანის [7] შედეგიდან $\mathbb{R}^n$-ში შემთხვევითი ზომების შესახებ.

ციტირებული ლიტერატურა

[1] A. Beurling, H. Helson, *Fourier-Stieltjes transforms with bounded powers*, Math. Scand. **1** (1953), 120-126.

[2] O. S. Dragoshanskii, *Convergence of Fourier double series and Fourier integrals of functions on T^2 and $\mathbb{R}^2$ after rotations of coordinates*, Sbornik Math. **191** (2000), 1587-1606.

[3] M. I. Dyachenko, *Rotation of coordinate axes and two-dimensional classes of functions with bounded generalized variation*, Moscow Univ. Math. Bull. **3** (2008), 26-30.

[4] C. Goffman, T. Nishiura, D. Waterman, *Homeomorphisms in Analysis*, Mathematical surveys and monographs Vol. 54, American Mathematical Society, 1991.

[5] M. de Guzmán, *Differentiation of integrals in $\mathbb{R}^n$*, Lecture Notes in Mathematics, 481. Springer-Verlag, Berlin, 1975.

[6] G. A. Karagulyan, *A complete characterization of R-sets in the theory of differentiation of integrals*, Studia Math. **181** (1)(2007), 17-32.

[7] G. Karagulyan, *A necessary and sufficient condition for differentiability of integrals of random measures in $\mathbb{R}^n$ over n-dimensional intervals*, Math. Notes **49** (1991), 375-378.

[8] G. L. Lepsveridze, *On strong differentiability of integrals along different directions*, Georgian Math. J. **2** (1995), no. 6, 613-630.

[9] B. López Melero, *A negative result in differentiation theory*, Studia Math. **72** (1982), 173-182.

[10] J. Marstrand, *A counter-example in the theory of strong differentiation*, Bull. London Math. Soc. **9** (1977), 209-211.

[11] A. M. Olevskii, *Modifications of functions and Fourier series*, Uspekhi Mat. Nauk **40** (1985), 157-193 (Russian), translation: Russian Math. Surveys **40**(1985), 181-224.

[12] G. G. Oniani, *Differentiation of Lebesgue integrals*, Tbilisi Univ. Press, Tbilisi, 1998 (in Russian).

[13] G. G. Oniani, *A resonance theorem for a family of translation invariant differentiation bases*, Proc. A. Razmadze Math. Inst. **168** (2015).

[14] G. G. Oniani, *On the differentiation of integrals with respect to the bases $B_2(\theta)$*, East J. Approx. **3** (1997), 275-301.

[15] G. G. Oniani, *On the strong differentiation of multiple integrals along different frames*, Georgian Math. J. **12** (2005), no. 2, 349-368.

[16] G. G. Oniani, *On the integrability of strong maximal functions corresponding to different frames*, Georgian Math. J. **6** (1999), no. 2, 149-168.

[17] G. G. Oniani, *On upper and lower derivatives of integrals with respect to convex differentiation bases*, Math. Notes **76** (2004), No.5, 702-714.

[18] A. A. Saakyan, *On Bohr's theorem for multiple Fourier series*, Math. Notes **64** (1998), No. 6, 787-797; translation from Mat. Zametki **64** (1998), No. 6, 913-924.

[19] A. M. Stokolos, *An inequality for equimeasurable rearrangements and its applications in the theory of differentiation of integrals*, Anal. Math. **9** (1983), 133-146.

[20] A. M. Stokolos, *On a problem of A. Zygmund*, Math. Notes **64** (1998), 646-657.

[21] S. Saks, *Theory of the Integral*, 2nd ed., Dover Publications, New York, 1964.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული შრომები

[I] K. A. Chubinidze, *On sets of singular rotations for translation invariant bases*, Transactions of A. Razmadze Math. Inst. **170** (2016) (to appear).

[II] K. A. Chubinidze, *Rotation of coordinate axes and integrebility of maximal functions*, Book of abstracts of VI international conference of the Georgian Mathematical Union, 99-100.

[III] K. A. Chubinidze and G. G. Oniani, *Rotation of coordinate axes and differentiation of integrals with respect to translation invariant bases*, Proc. A. Razmadze Math. Inst. **167** (2015), 107-112.

[IV] K. A. Chubinidze and G. G. Oniani, *Note on the differentiability of singular Lebesgue-Stieltjes measures*, Georgian Math. J. **22** (2015), 349-354.

[V] K. A. Chubinidze and G. G. Oniani, *Note on singular Lebesgue-Stieltjes measures*, Proc. A. Razmadze Math. Inst. **164** (2014), 98-99.

[VI] G. G. Oniani and K. A. Chubinidze, *Rotation of coordinate axes and differentiation of integrals with respect to translation invariant bases*, Abstracts of the International Conference "Function spaces and function approximation theory" dedicated to 110th anniversary of academician S. M. Nikolskii (May 25-29, 2015, Moscow), pp. 43-46.

Akaki Tsereteli State University
Faculty of Exact and Natural Sciences

With the rights of the Manuscript

Kakha Chubinidze

Rotation of Coordinate axes and Differentiation of Integrals with respect to Translation Invariant Bases

AN ABSTRACT
of the dissertation for the academic degree
of Doctor of Mathematics

Kutaisi
2016

The Dissertation has been carried out at Akaki Tsereteli State University Department of Mathematics.

Supervisor: **Giorgi Oniani**
Doctor of Physics and Mathematics,
Professor of Akaki Tsereteli State University

Reviewers: **1. Valentin Skvortsov**
Doctor of Physics and Mathematics,
Professor of M. Lomonosov Moscow State University

2. Duglas Ugulava
Doctor of Physics and Mathematics,
Professor of Georgian Technical University

The Defence of the Dissertation will be held on 27 February 2016, at 13:00 at the meeting of dissertation commission created by dissertation board of the Faculty of Exact and Natural Sciences of Akaki Tsereteli State University

Address: Block I, room 1114, 59 Tamar Mepe St., Kutaisi 4600.

The Dissertation will be available in the Akaki Tsereteli State University Library (59 Tamar Mepe St., Kutaisi, 4600)

The Abstract of the Dissertation is dispatched on 01.02.2016.

The Secretary of the Dissertation Council *Z. Sokhadze*

